




საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



სნობის ფურცელი

აპრილი, მაისი, ივნისი

2022



მიმდინარე კონკურსები

1. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;
2. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;

დასრულებული კონკურსები

- პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. დაფინანსდა პროექტი „მუშა“ (რეჟისორი – გიორგი ქობალია), პროდიუსერი – შპს „ფილმ ასილუმი“.



„იარე, ლიზა“



„ტერცო მონდო“

მოსამზადებელ პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ჭერი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აკვარიუმი“ (პროდიუსერი – შპს „ს. ს. ს.“, რეჟისორი – თორნიკე ბზიავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქალაქის ხმაური“ (პროდიუსერი – შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პანოპტიკონი“ (პროდიუსერი – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – ჯორჯ სიხარულიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცივი ღრუბლები“ (პროდიუსერი – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – კახა კიკაბიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი, რეჟისორი – ელენე მიქაბერიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მთვარე მამაა ჩემი“ ((პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყლების მაღაზია“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია – 99“, რეჟისორი – შტეფან ტოლცი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავსე სიცარიელე“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია+1“, რეჟისორი – ირინე ჯავახიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კორიდა“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – გიორგი სამსიანი);

- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვაკუმი“ (პროდიუსერი -- შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – თედო დოლიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძაფი“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასულუმი“, რეჟისორი – ლევან სიხარულიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მკვდარი“ (პროდიუსერი -- შპს „ახალი ქართული ფილმი“ ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი – გიორგი ანთიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩვენი სიყვარულის მერე“ (პროდიუსერი – შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – ამირან დოლიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს“ (პროდიუსერი – ააიპ „ათიკ პროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი ფარქოსაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შაქრო-ცხენი, ზორო, ფანტომასა და ტაისონა“ (პროდიუსერი – შპს „პალესტრა“, რეჟისორი – თემურაზ ცაავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რაც ღმერთს სწამდა“ (პროდიუსერი – შპს „მიდი ფილმი“, რეჟისორი – მარინე გულბიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხმელი ფოთოლი“ (პროდიუსერი – ი/მ ალექსანდრე კობერიძე, რეჟისორი – ალექსანდრე კობერიძე);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმის წარმოება „მილი“ (პროდიუსერი – შპს „12“, რეჟისორი – შალვა სოყულაშვილი);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმის წარმოება „ალდი“ (პროდიუსერი – შპს „ბრინგო“, რეჟისორი – გიორგი არაბული);

გადაღების პერიოდშია:

- ▶ დოკუმენტური ფილმი „მზიბავი“ (პროდიუსერი – შპს „ბი აი თი სტუდია“, რეჟისორი – ანა კვიჭიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „თბილისის ომი“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ი/მ იოსებ დუმბაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შოთას და დანარჩენ 99-ს მოსწონს ეს“ (პროდიუსერი – ააიპ საავტორო ფილმების სტუდია, რეჟისორი – ერეკლე ინაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ლევანი და გივი“ (პროდიუსერი – შპს „ჯემინი“, რეჟისორი – ბაკურ ბაკურაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აფრიკა“ (პროდიუსერი – შპს „კინო არქიტექტურის ოფისი“, რეჟისორი – რატი ჭეზაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი მუხაძე);



„უხერხემლო“




„კენეცია“

- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „პატარა ხოჭო“ (პროდიუსერი – შპს „ელელენდი“, რეჟისორი – ელენე სებისკვერაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი – შპს „ზანგო სტუდია“, რეჟისორი – ვახტანგ კოტეტიშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ქაღალდის თვითმფრინავი“ (პროდიუსერი – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი (20 steps productions), რეჟისორი – თამთა მანაგაძე);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიტი“ (პროდიუსერი – შპს „სინტეფი“, რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი ჩალაური);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი – შპს „ეკო ფილმს“ (EcoFilms), რეჟისორი – ნიკა ნიკლაური);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – ბესო (გივი) ოდიშარია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი – ფ/პ გელა კანდელაკი, რეჟისორი – გელა კანდელაკი);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიגיტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მუღამათი“ (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი);

- ▶ მცირებუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი – შპს „თთფილმი“, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი – ს. ს. „ქართული ფილმი“, რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი);
- ▶ ანიმაციური ფილმი „განდევილი“ (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო კიკნაველიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ვიდინოთ“ (პროდიუსერი – ააიპ „საქდოკ ფილმი, რეჟისორი – სოფიო მედოიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რაც თავი მახსოვს“ (პროდიუსერი – შპს „ფორმო“, რეჟისორი – მაკა გოგოლაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მწარე შაქარი“ (პროდიუსერი – ააიპ „ბავშვთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი“, რეჟისორი – ანა ბარჭაძე);

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასილუმ“ (Film Asylum), რეჟისორი – აკაკი შანშიაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“, (პროდიუსერი – შპს „კედარი“, რეჟისორი – ირინე ჟორდანიას);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი – შპს ნ&ნ (N&N), რეჟისორი – ნანა ჯანელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წესების დაცვით“ (პროდიუსერი – შპს „მალჰოლანდ ფილმი“, რეჟისორი – დოვერ ქოსაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდიო“, რეჟისორი – რუსუდან ჭყონია);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ამაღლება“ (პროდიუსერი – 20 სტეპს პროდაქშენი, რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე ნმინდანი“ (პროდიუსერი – შპს „არტიზმი“, რეჟისორი – თინათინ ყაჭრიშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – დათა ფირცხალავა);



„როცა 17 წლის ხარ“



„მშვენიერი ელენე“

- ▶ მცირებუჩქეთიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ადარ შემიძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფ/პ ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეტრეველი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლეში დაბრუნება“ (პროდიუსერი – შპს „3003 ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი – ლანა ლოლობერიძე); რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „განდგეილი“ (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი სანარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო კიკნაველიძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“; (პროდიუსერი – შპს „ვოქსელ“ რეჟისორი – თეიმურაზ სიხარულიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – დათა ფირცხალავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ მცირებუჩქეთიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ადარ შემიძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფ/პ ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეტრეველი);

დასრულდა:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმღერა სიცოცხლის საგალობელი“ (პროდიუსერი – შპს „ცისფერი მთები“, რეჟისორი – ელდარ შენგელაია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უხერხემლო“ (პროდიუსერი – შპს „ასილუმი“ (Film Asylum), რეჟისორი – გრიგოლ აბაშიძე);
- დოკუმენტური ფილმი „ღიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი და სცენარის ავტორი – ლუკა ბერაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია-99“, რეჟისორი – ნანა (ნინო) ჭორჭაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში);
- ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“; (პროდიუსერი – შპს „ვოქსელ“ რეჟისორი – თეიმურაზ სიხარულიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- „მეზობლებს სძინავთ“ – (პროდიუსერი – შპს „პარაშუტ ფილმი“ ელენე მარგველაშვილი; რეჟისორი – ვოტე კალანდაძე);



„პატარა ხოჭო“



„კავკასიონის ხუთი ხედი“

განვითარების პროცესშია:

- ▶ „დედობრივი ინსტინქტი“ – (პროდიუსერი – ი/მ გვანცა მეფარიშვილი; რეჟისორი – გრიგოლ ჯანაშია);
- ▶ „კონტექსტიდან ამოჭრილი“ – (პროდიუსერი – შპს „შპს „ზუჩი ფილმსი“ მინდ. პირი ნატო გაბუნია; რეჟისორი – ნატო გაბუნია);
- ▶ „თამაშგარე“ – (პროდიუსერი – შპს „newdocfilm“ ნინუკი ქოიავა; რეჟისორი – სანდრო ნავერიანი);
- ▶ „მეათე მოწმე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „იტს სტუდიო“ (Its STUDIO), სცენარის ავტორი – გიგა ლიკლიკაძე);
- ▶ „მამა აბრამის ბატკანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ „კაი ბიჭები“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი“ (20 steps productions), რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე, სცენარის ავტორი – გიორგი თავართქილაძე);
- ▶ „გაკოტრება“ – (საპროდიუსერო კომპანია – აიიპ „მიკროკოსმოსი“, რეჟისორი – სალომე ჯაში – სცენარის ავტორი – სალომე ჯაში);
- ▶ „უოლდენი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა პროდაქშენი“, რეჟისორი – გურამ მეგრელიშვილი, სცენარის ავტორი – გურამ მეგრელიშვილი);
- ▶ „ნინო და ილიკო“ – (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენი“, სცენარის ავტორი – მაკა კუკულავა-ფუასიე);

- ▶ „სიმონ ჯაშის ცხოვრება“ – (პროდიუსერი – შპს „კლოუნ კო“, სცენარის ავტორი – დიმიტრი მამულია);
- ▶ „დაბრუნება“ – (პროდიუსერი – შპს „პანიკა ფილმსი“, სცენარის ავტორი – გურამ ბაქრაძე);
- ▶ „კახაბერი“ – (პროდიუსერი – ი/მ „გიორგი გეთიაშვილი“, სცენარის ავტორი – გიორგი გეთიაშვილი);
- ▶ „ვია იმედი“ – (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, სცენარის ავტორი – ლევან ცერცვაძე);
- ▶ „ლომის ახალი ფაფარი“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ი/მ „ანა ჩუბინიძე“);
- ▶ „ოჰ! დედა, დედა“ – (პროდიუსერი – შსგ „გლაბერ“, რეჟისორი – ხათუნა ტატუაშვილი);
- ▶ „იფიქრე ნაკლები“ (პროდიუსერი – ი/მ „ქეთევან ჯანელიძე“, რეჟისორი – ლევან ყუფარაძე);
- ▶ „როცა გადამფრენი ჩიტები სახლს ტოვებენ“ – (პროდიუსერი – ააიპ „ლეველ2 ფილმს“, რეჟისორი – ნათია არაბული-ვეგერი);
- ▶ „ცით დაკავებული კაცი“ (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, რეჟისორი – ალექსანდრე ნავერიანი);
- ▶ „ჩემი დაკარგული სხეული“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი – ალექსანდრე კვატაშიძე).



საქართველო კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე

კანის 75-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე (Marche du Film) ეროვნულმა კინოცენტრმა მეთხუთმეტედ წარადგინა საქართველოს პავილიონი, სადაც ინდუსტრიული კუთხით მუშაობდა ეროვნული კინოცენტრის გუნდი.

კანის კინოფესტივალის ფარგლებში, კინოცენტრმა ორგანიზება გაუწია შეხვედრებს კინო-აგენტებთან, დისტრიბუტორებთან და ისეთი საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან როგორებიცაა: ვენეციის, ლოკარნოს, სანდენსის, ბერლინის, ტოკიოს, თესალონიკის, ტრიესტის და ვარშავის კინოფესტივალები.

ქართველი კინემატოგრაფისტები მონაწილეობდნენ შემდეგ ინდუსტრიულ ღონისძიებებში:

- რეჟისორ ლევან კოლუაშვილის ფილმის პროექტი „გურია“ წარმოდგენილი იყო კანის საერთაშორისო კინოფესტივალის პლატფორმაზე „ატელიე“. 2005 წლიდან „ატელიე“ ყოველ წელს იწვევს 15 რეჟისორს და ეხმარება მათ პროექტების რეალიზებაში.
- პროდიუსერი ქეთი დანელია მონაწილეობდა EFP-ის მიერ ორგანიზებულ პროგრამაში Producers on the Move, რომელიც გაიმართა კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა 20 ქვეყნიდან ახალგაზრდა პროდიუსერების შერჩევას და მათ პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით, სხვადასხვა ღონისძიებისა თუ საგანმანათლებლო პროგრამის დახმარებით.

- პროდიუსერმა თეიმურაზ ჩხვიმიანმა კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიულ ღონისძიებაზე Producers Network წარადგინა ფილმის პროექტი „ქვა“ (რეჟისორი მარიამ ხაჭვანი). აღნიშნული პროგრამა დაარსდა 16 წლის წინ და ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 500-ზე მეტ პროდიუსერს მასპინძლობს.



კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, „შემოქმედებითი ევროპის“ სტენდზე მოხდა ეროვნული კინოცენტრის ახალი კინოსაგანმანათლებლო პორტალის წარდგენა სახელწოდებით „ისტორია-კინო-ისტორია“, რომელიც წარმოადგენს ონლაინ რესურსს მე-20 საუკუნის ევროპის ისტორიისა და კინოს ისტორიის სწავლებისთვის. კინოცენტრი პროექტს ახორციელებს უცხოელ პარტნიორებთან ერთად, „შემოქმედებითი ევროპის“ ფინანსური მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ კანის კინოფესტივალის სტუმრებისთვის საქართველოს სტენდზე მოეწყო ქართული წვეულება, რომელსაც ქართველ რეჟისორებთან და პროდიუსერებთან ერთად დაესწრნენ სხვადასხვა მნიშვნელოვანი კინოფესტივალის დირექტორები, სელექტორები, პროდიუსერები და ინდუსტრიული პროგრამების წარმომადგენლები, „ევრიმაჟის“ პრეზიდენტი – Catherine Trautmann, დირექტორი – Susan Newman Baudais და EFP-ის დირექტორი – Sonja Heinen.





ქართული ანიმაციის სტენდი ანსის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ეროვნული კინოცენტრი, პროგრამა „გადაიღე საქართველოში“ და ანიმატორთა ასოციაცია „საქანიმა“ ანსის საერთაშორისო კინოფესტივალის ანიმაციური ფილმების ბაზრობაზე MIFA 2022 წარმოადგენდნენ საქართველოს სტენდს.

სტენდზე გამართულ შეხვედრებს ესწრებოდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე მაკო ჭილაშვილი. ფესტივალების პროგრამერების შეხვედრაზე მონაწილეობდა რეჟისორი და პროდიუსერი, „საქანიმა“-ს დამფუძნებელი და ევროპული ანიმაციის EMILE ჭილდოს ბორდის წევრი მარიამ კანდელაკი.





საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო ქართული ანიმაციის კატალოგი და ვიდეო კლიპი, რომელიც „საქანიმა“-ს წევრი ანიმატორების პროექტების ვიზუალური მასალით CAUCASIAN FILM SERVICE-მა შექმნა.

კატალოგი

სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების პროექტების კონკურში მონაწილეობას იღებდა პროექტი „იგი“, რეჟისორი ნათია ნიკოლაშვილი (საქართველო, ჩეხეთი), ხოლო მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროექტების სექციის Animation du Monde მონაწილე იყო პროექტი „მოკოლადი“, რეჟისორი მედეა შირაქაძე (საქართველო, ეკვადორი).

ანსიში ასევე გაემგზავრნენ ანიმაციური პროექტის განვითარების მეშვიდე ვორქშოპის, „ანსი-საქართველო“-ს გამარჯვებული ანა მარკოზაშვილი და ვორქშოპის მონაწილე ნინა ჩუბინიშვილი. ქართველმა ანიმატორებმა გამართეს შეხვედრები უცხოელ კოლეგებთან სამომავლო თანამშრომლობის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ქართული პროექტების გარდა, ანსის კინოფესტივალმა უმასპინძლა ქართული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის – „ფრენცის სასადილო“ ჩვენებას, რომელიც ფესტივალის მთავარ კონკურსში იყო წარმოდგენილი. ფილმის რეჟისორია ანა ჩუბინიძე. „ფრენცის სასადილო“ შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.


ანსის საერთაშორისო კინოფესტივალის ანიმაციური ფილმების ბაზრობა MIFA 2022 13-17 ივნისს გაიმართა.

“მეოთხე ბრაიტონი“

შვეიცარიაში, ფრიბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვდა ლევან კოდუაშვილის ფილმი "მეოთხე ბრაიტონი".

ფილმს გადაეცა ჟიურის სპეციალური პრიზი.

"მეოთხე ბრაიტონი" ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. იგი საქართველოს, რუსეთის, ბულგარეთის, მონაკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კოპროდუქციაა.



“მიტოვებული სოფელი“

მარიამ კაპანაძის ანიმაციას "მიტოვებული სოფელი" მორიგი საერთაშორისო ჯილდო გადაეცა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე KABOOM.

"მიტოვებული სოფელი" დაჯილდოვდა საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმის პრიზით. პრიზი გადაეცა ფილმის პროდიუსერ მარიამ კანდელაკს.

"მიტოვებული სოფელი" შექმნილია სტუდია "კვალი XXI"-ის მიერ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფესტივალის ფარგლებში, ფილმის ჩვენებები გაიმართა ამსტერდამის კინო-მუზეუმში EYE.



თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი

21-27 ივნისს მეთოთხმეტედ ჩატარდა თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი. ეროვნული კინოცენტრი მრავალი წელია ფესტივალის მხარდამჭერია.

სელექციის შედეგად, კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში წელს 19 ქვეყნის კინოსკოლის 31 ფილმი მონაწილეობდა. სტუდენტური კინოფესტივალის საკონკურსო კინოპროგრამის ოფიციალურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ კინორეჟისორი ანა ურუშაძე, კინორეჟისორი და სცენარისტი ალექსო ცაბაძე და კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეთევან ტრაპაიძე, გამარჯვებულები გამოავლინა შემდეგ ნომინაციებში:

- **საუკეთესო ანიმაციური ფილმი**
Lesser of two Evils – Hungary / Budapest Metropolitan University – Máté Horesnyi
- **საუკეთესო დოკუმენტური ფილმი**
Give me Souls – Slovakia / VSMU – Matúš Ďuraňa
- **საუკეთესო მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმი**
Ordinary – Israel / Sam Spiegel School – Gil Fermon
- **საუკეთესო რეჟისურა**
The Disappearance of Janusz Klarner – Poland / Łódź School – Franciszek Barbeka
- **ჟიურის სპეციალური აღნიშვნის დიპლომი**
What's for Dinner – Poland / FAMU – Maja Górczak
- **გრან-პრი**
Headfish – Poland / Łódź School – Jakub Prisak

სტუდენტური ჟიურის რჩეული გახდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – 0. 2 Milligrams of Gold – Belgium / Doc Nomads – Diego Quinderé de Carvalho.

აღსანიშნავია, რომ კინოფესტივალის ფარგლებში, 25, 26 და 27 ივნისს ჩატარდა ინდუსტრიული პროექტი „ფიჩინგ ფორუმი“. ტუტორი – თამარ ტატიშვილი. ჟიურის წევრები: პროდიუსერი ქეთი დანელია, კინორეჟისორი ალექსანდრე კობერიძე და კინორეჟისორი დავით ჯანელიძე.

2022 წლის „ფიჩინგ ფორუმის“ გამარჯვებულები გახდნენ:

I ადგილი – „მე გრეტა“ – რეჟისორი: მირანდა ნამიჭეიშვილი, პროდიუსერი: ანა კვიტიძე;

II ადგილი – „Disposable“ – რეჟისორი: ლუკა ბერაძე, პროდიუსერი: ანა ხაზარაძე, ნინო ჩიჩუა;

III ადგილი – „მკვდრების ზღვა“ – რეჟისორი: ანა კვიტიძე, პროდიუსერი: მარიამ ბინაძე;



ლანა დოლობერიძის ფილმების რედროსპექტივა კინოფესტივალზე goEast

ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით, საერთაშორისო კინოფესტივალმა goEast უმასპინძლა ქართველი რეჟისორის – ლანა დოლობერიძის ფილმების რედროსპექტივას. რეჟისორი თავადაც დაესწრო რედროსპექტივას.

კინოფესტივალზე შედგა ჩვენებები შემდეგი ფილმებისა:

- "დღეს ღამე უთენებია" (1984);
- "ორომეტრიალი" (1986);
- "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" (1978);
- "როცა აყვავდა ნუში" (1972);
- "ვალსი პეჩორაზე" (1992);
- "ერთი ცის ქვეშ" (1961);
- "მე ვხედავ მზეს" (1965);
- "ფერისცვალება" (1968);
- "აურზაური სალხინეთში" (1975);
- "ოქროს ძაფი" (2019);

საერთაშორისო კინოფესტივალმა goEast ყოველწლიურად 100-ზე მეტ მხატვრულ, დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმს სთავაზობს აუდიტორიას. იგი გერმანიაში, ქალაქ ვისბადენში ტარდება. წელს ფესტივალმა 19 – 29 აპრილს ჩატარდა.



“60-იანი წლების ქართული კინო”

27 მაისიდან 19 ივნისის ჩათვლით, ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა რეტროსპექტივა სახელწოდებით “60-იანი წლების ქართული კინო”. აღსანიშნავია, რომ ქართული კინოკლასიკის გამორჩეული ნამუშევრების აღდგენა ახლახანს დასრულდა და ისინი მაყურებელმა პირველად ნახა. კინოჩვენებები იმართებოდა ეროვნული არქივის კინოდარბაზში და მათზე დასწრება თავისუფალი იყო.

პროგრამა 27 მაისს გახსნა თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის ფილმმა “მაგდანას ლურჯა”. რეტროსპექტივის ფარგლებში მაყურებელმა იხილა შემდეგი ქართული ფილმები: ლანა ლოლობერიძის “ფერისცვალება”, ელდარ შენგელაიასა და თამაზ მელიაშვილს “თეთრი ქარავანი”, ოთარ იოსელიანის “გიორგობისთვე”, გიორგი შენგელაიას “ალავერდობა” და “ფიროსმანი”, ალექსანდრე რეხვიაშვილის „მე-19 საუკუნის ქრონიკა“, ნანა მჭედლიძის “პირველი მერცხალი”, ელდარ შენგელაიას “შერეკილები”, მერაბ კოკოჩაშვილის “დიდი, მწვანე ველი” და რეზო ესაძის “ერთი ნახვით შეყვარება”. რეტროსპექტივა დახურა თენგიზ აბულაძის გახმაურებულმა ფილმმა “მონანიება”.

კინოჩვენებების გარდა, პროექტის ფარგლებში გაიმართა 2 საჯარო ლექცია. 60-იანელების ქართულ კინოზე ისაუბრა ნინო მხეიძემ, ხოლო 60-იანი წლების საბჭოთა საქართველოზე – ალექსანდრე დაუშვილმა.

კინომემკვიდრეობაზე ზრუნვა ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქართული ფილმების დაბრუნების პროცესი 2016 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით. ამ ეტაპზე რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდ“-იდან ჩამოტანილია 51 ფილმი, აქედან აღდგენილია 38.

60-იანი წლების ქართული კინოს რეტროსპექტივის მონაწილე ფილმები აღდგენილია საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით, გიორგი კაკაბაძის ხელმძღვანელობით.



შვედეთმა ქართული კინოს რეტროსპექტივას უმასპინძლა

10-12 ივნისს, ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით შვედეთის ქალაქ გოტენბერგში გაიმართა ქართული ფილმების რეტროსპექტივა.

პროექტს მხარს უჭერდნენ საქართველოს საელჩო შვედეთში, გოტენბერგის საერთაშორისო კინოფესტივალი და სამი კინოთეატრი – Bio Roy, Bio Capitol და Hagabion.

ფილმების ჩვენების შემდეგ ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ონლაინ ფორმატში გასაუბრებოდნენ რეჟისორებს.

რეტროსპექტივის ფარგლებში შედგა ჩვენებები შემდეგი ქართული ფილმებისა: "ოთარის სიკვდილი", "გალმა ნაპირი", "წყალს საზღვრები აქ აქვს", "ფუტკრის დაცემა", "მეზობლები", "ცუდი ხალხი", "გაიღიმე", "მოგზაურობა ყარაბაღში", "ცისფერი მთები", „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“, "შემთხვევითი პაემნები", "მონანიება", "ღორი" და "გოგიტას ახალი ცხოვრება".



Einer der besten Filme des Jahres

laut Sight & Sound, Hollywood Reporter, Film Comment, Cinema Scope, Indiewire, u.v.a.



Ein Film von Alexandre Koberidze

AB 07. APRIL IM KINO

- არაერთი საერთაშორისო ჭილდოს მფლობელი ფილმი "რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?" გერმანიის კინოთეატრებში გამოვიდა! ალექსანდრე კობერიძის ნამუშევარი 50-მდე კინოთეატრში აჩვენეს.
- ლევან კოლუაშვილის ფილმი "მეოთხე ბრაიტონი" აჩვენეს კვიპროსის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექციაში Viewfinder 2022. ფილმი წარადგინა დამდგმელმა ოპერატორმა ფედონ პაპამიქაელმა. აღსანიშნავია, რომ ფილმის უფლებები კიდევ ორმა ქვეყნამ შეიძინა: შვედეთი – დისტრიბუტორი Novemberfilm და ისრაელი – დისტრიბუტორი Transfax.
- კოპენჰაგენში, საერთაშორისო კინოფესტივალზე CPH:DOX შედგა მარადია ცაავას დოკუმენტური ფილმის „წყალს საზღვრები არ აქვს“ ჩვენება. ჩვენების შემდეგ კითხვა-პასუხის ფორმატში გაიმართა შეხვედრა ფილმის რეჟისორთან.
- მიხეილ კვირიკაძის ფილმი "ნათლობა იორდანეში" აჩვენეს მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსზე სახელწოდებით VENEZIA SHORTS. ღონისძიება ჩატარდა იტალიის ქალაქ ვენეციაში.
- რეჟისორი ალექსანდრე ქორიძე მიიწვიეს კრაკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც საკონკურსო სექციაში International DocFilmMusic Competition გაიმართა მსოფლიო პრემიერა მისი დოკუმენტური ფილმისა „ატონალური გაბრწყინება“.

- გიორგი ფარქოსაძის დოკუმენტური ფილმი "რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს" შეირჩა სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიულ პროგრამაში Docu Rough Cut Boutique. "რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს" გიორგი ფარქოსაძის პირველი სრულმეტრაჟიანი პროექტია, რომელიც ქართულ-ბერძნული კოპროდუქციაა.
- მხატვრული ფილმის პროექტი "ნუკრი" სტამბულის საერთაშორისო ფესტივალის ინდუსტრიული პროგრამა Meetings on the Bridge-ს გამარჯვებული გახდა. ჭილდო ფილმის რეჟისორ სალომე ბაუერს გადაეცა, რომელიც ფესტივალზე ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გაემგზავრა. ფილმის პროდიუსერია საპროდიუსერო კომპანია "არტიზმი".
- ვორქშოპზე MIDPOINT Series Launch შეირჩა ქართული სერიალის პროექტი "ნინო და ილიკო" (პროდიუსერები – ნინო ჩიჩუა და ანა ხაზარაძე, სცენარის ავტორები – უტა ბერია და მაკა კუკულავა).
- რეჟისორი ქეთევან ვაშაგაშვილი მონაწილეობდა ქალაქ ტრომსოში გამართულ ევროპული სოციალური დოკუმენტური კინოს განვითარების ვორქშოპზე ESoDoc 2022 დოკუმენტური ფილმის პროექტით „9-თვიანი კონტრაქტი“.
- რეჟისორი ვახო ჯაჭანიძე იმყოფებოდა ქალაქ სოფიაში, ინდუსტრიულ ღონისძიებაზე Sofia Meetings ფილმის პროექტით „რეალური არსებები“.

ვიზიტები

კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის სელექტორი ლენკა ტირპაკოვა

10-15 აპრილს ეროვნულ კინოცენტრს სამუშაო ვიზიტით ეწვია კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის სელექტორი ლენკა ტირპაკოვა.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, კარლოვი ვარის კინოფესტივალის წარმომადგენელი გაეცნო უახლეს ქართულ სრულმეტრაჟიან მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს ფესტივალზე მათი შერჩევის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ლენკა ტირპაკოვამ ეროვნულ კინოცენტრში გამართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ქართველ კინემატოგრაფისტებთან.

“ისტორია-კინო-ისტორია”

ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა ახალი კინოსაგანმანათლებლო პორტალის პრეზენტაცია სახელწოდებით "ისტორია-კინო-ისტორია".

პორტალი შექმნილია ევროკავშირის პროგრამა "შემოქმედებითი ევროპის" ფინანსური მხარდაჭერით და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველო პროექტში ჩართულია, როგორც ლიდერი ქვეყანა. ეროვნული კინოცენტრის პარტნიორები არიან: Cineteca Italiana (იტალია), The Film Space (დიდი ბრიტანეთი) და the National Cinématheque of Serbia (სერბეთი). კინოსაგანმანათლებლო პორტალი "ისტორია-კინო-ისტორია" ხელმისაწვდომია პროექტის მონაწილე ყველა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე.

პროექტზე მუშაობა დაიწყო 2020 წლიდან. შეიქმნა საგანმანათლებლო მასალები ორი მიმართულებით: მე-20 საუკუნის ევროპის ისტორიის სწავლება კინოს გამოყენებით და კინოს, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულების ისტორიის სწავლება.

ახალი კინოსაგანმანათლებლო პორტალის ვებ გვერდის [მისამართი](#).

2021 წელს დაიწყო პორტალის სატესტო რეჟიმში გამოყენება, როგორც პარტნიორ ქვეყნებში, ასევე საქართველოში პროექტის "კინო სკოლაში" ფარგლებში.

“კინო სკოლაში”

18 აპრილიდან დაიწყო პროექტის „კინო სკოლაში“ გაზაფხულის სეზონის აქტივობები. კერძოდ, შერჩეულ 71 სკოლაში ჩატარდა 615 ონლაინ გაკვეთილი და გაიმართა 170 ფილმის ჩვენება-დისკუსია.


2022 წლის გაზაფხულის სეზონზე მონაწილეობა მიიღო 3672-მა მოზარდმა. პარალელურად, კინოსკოლელები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა შემოქმედებით აქტივობებში, როგორებიც არის: აფიშების ხატვა და მცირე ფილმების გადაღება.

ასევე, პროექტის მონაწილე მოზარდებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ კინოცენტრის ახალ საერთაშორისო კინოსაგანმანათლებლო პორტალს „ისტორია-კინო-ისტორია“. 14 აპრილს გაიმართა ტრენინგი „კინომისიონერებისთვის“, რის შემდეგაც მოხდა პორტალის სკოლებში გამოყენება.

გამოვიდა ჟურნალ „კინ-0“-ს ახალი, მეოთხე ნომერი, რომელსაც აუდიტორია პირველად 18 და 19 ივნისს, „ნ0-იანი წლების რეტროსპექტივის“ ჩვენებებზე, ეროვნული არქივის კინოდარბაზში გაეცნო.

“კინ-0” საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ერთადერთი პროფესიული ჟურნალია კინემატოგრაფიაზე, რომელიც წელიწადში ორჯერ გამოდის.

ჟურნალი ნებისმიერი მსურველისთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი ეროვნულ კინოცენტრში.





საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge
www.filmcommission.ge